ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომის ოქმი №49

15 მაისი, 2025 წელი
14:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
კახაბერ ლაბუჩიძე, თინათინ ნიბლოშვილი, ზურაბ ჩიკვილაძე, ნათია მოდებაძე და გურამ ოქროპირიძე.

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე
თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** განათლებისა და კულტურის კომისიაზე წარმოდგენილი კორესპონდენციის განხილვა ალექსანდრე (ლექსო) თორაძის საცხოვრებელ სახლზე მემორიალური დაფის განთავსების შესახებ (19/032513329-03; 13.05.2025)
მომხსენებელი: ნინო თორაძე
თანამდებობა: განმცხადებელი
2. **საკითხი:** განათლებისა და კულტურის კომისიაზე წარმოდგენილი კორესპონდენციის განხილვა მერაბ დონაძის საცხოვრებელ სახლზე მემორიალური დაფის განთავსების შესახებ (19/032513415-03; 14.05.2025)
მომხსენებელი: კახაბერ ლაბუჩიძე
თანამდებობა: სხდომის თავმჯდომარე
3. **საკითხი:** განათლებისა და კულტურის კომისიაზე წარმოდგენილი კორესპონდენციის განხილვა არჩილ ბეთანელის საცხოვრებელ სახლზე მემორიალური დაფის განთავსების შესახებ (19/032513442-03; 14.05.2025)
მომხსენებელი: კახაბერ ლაბუჩიძე
თანამდებობა: სხდომის თავმჯდომარე

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ ერთხმად მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარე, კახაბერ ლაბუჩიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა **დღის წესრიგით განსაზღვრული პირველი საკითხი.**

კახაბერ ლაბუჩიძემ კომისიის წევრებს გააცნო განათლებისა და კულტურის კომისიაში წარმოდგენილი წერილი, რომელიც შეეხებოდა ალექსანდრე (ლექსო) თორაძის საცხოვრებელ სახლზე მემორიალური დაფის განთავსების საკითხს.

თავმჯდომარემ კომისიის წევრებსა და განმცხადებელს განუმარტა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების სამართლებრივი პროცედურები, კერძოდ აღნიშნა, რომ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ მსჯელობს თბილისის მერიის მიერ შექმნილი კომისია. საკითხის ინიციირებისთვის დაინტერესებული პირი განცხადებით მიმართავს თბილისის მერიას. განცხადებას თან უნდა დაერთოს: სსიპ – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილი, რომლითაც დასტურდება განმცხადებლის მიერ მითითებული უძრავი ნივთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის არსებობა/არარსებობა; მესაკუთრის თანხმობა; მემორიალური დაფის განთავსების შესახებ რეკომენდაცია შესაბამისი უწყებებიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თუ მემორიალური დაფის განთავსება მოთხოვნილია იმ შენობა/ნაგებობაზე, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, კომისიის დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში, განმცხადებელმა სამსახურში უნდა წარადგინოს არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილება.

კახაბერ ლაბუჩიძის განცხადებით, ალექსანდრე (ლექსო) თორაძე საყოველთაოდ აღიარებული პიანისტია, როგორც რომანტიკული ტრადიციის ვირტუოზი შემსრულებელი. მან ადგილი დაიმკვიდრა მსოფლიოს დიდ პიანისტთა შორის თვითმყოფადი ინტერპრეტაციებით, ღრმა პოეტური ლირიზმითა და მკაფიო ემოციურობით.

დაიბადა 1952 წელს ქ. თბილისში, კომპოზიტორ დავით თორაძისა და კინომსახიობ ლიანა ასათიანის ოჯახში. 1991 წელს დაინიშნა ინდიანას უნივერსიტეტის (აშშ) პროფესორად, სადაც ჩამოაყალიბა Toradze Piano Studio და სწავლების უნიკალური მეთოდით შექმნა განუმეორებელი გარემო. წლების განმავლობაში, სტუდიის მრავალეროვნულმა წევრებმა მაღალი კრიტიკული შეფასება მიიღეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გამართული საკონცერტო ტურნეებისთვის.

ცხრა წლიდან სიმფონიურ ორკესტრთან ერთად უკრავდა. დაამთავრა თბილისის და მოსკოვის კონსერვატორიები. როგორც ნიჭიერმა მუსიკოსმა მალევე გაითქვა სახელი. 1983 წელს, როდესაც ის საბჭოთა კავშირიდან ამერიკაში გადასახლდა, მის შესახებ იმათაც კი გაიგეს, ვისაც მუსიკასთან არაფერი აკავშირებდა. ლექსო თორაძე რუსეთის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად ესპანეთში გასტროლებზე იმყოფებოდა, როცა აშშ-ის საელჩოში თავშესაფარი მოითხოვა.როგორც კი ამერიკაში ცხოვრების უფლება მიიღო, 10 დიდ ქალაქში კონცერტები გამართა. ამ წასვლამ დიდი ხმაური გამოიწვია. დასახლდა ინდიანას შტატში, ქალაქ საუთ-ბენდში. ნიჭიერი პიანისტი მალე აღწევს აღიარებას ყველგან. ამერიკულ პოპ მუსიკის მოყვარულ საზოგადოებას ლექსო თორაძეს ელა ფიცჯერალდი გააცნობს.

წლების განმავლობაში ლექსო თორაძე საქართველოში ვერ ჩამოდიოდა. მუშაობდა დატვირთული გრაფიკი და უამრავი გასტროლი ჰქონდა. ამერიკაში ოჯახიც შექმნა და ორი შვილი - ალექსანდრე და დავითი შეეძინა.

ბევრ ქართველ მუსიკოსს შეუწყო ხელი, ამერიკაში თავი დაემკვიდრებინა. პირველი საშა კორსანტია წაიყვანა, მერე სხვები. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით მოსაზრება გამოთქვეს:
ნინო თორაძემ.

ნინო თორაძემ დიდი მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებს პროცესში აქტიური ჩართულობისა და მხარდაჭერისთვის. განმცხადებლის განმარტებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ერთ ოჯახში სამი მნიშვნელოვანი ფიგურა ცხოვრობდა, რომელთა ღვაწლიც ქვეყნის წინაშე ფასდაუდებელია. ლექსო თორაძემ 45-ზე მეტი ახალგაზრდა წაიყვანა ამერიკაში და გზა გაუკვალა თითოეულ მათგანს. ასევე, დააფუძნეს ლექსო თორაძის სახელობის მუსიკალური ფესტივალი, რომლის ფარგლებში არაერთი დიდი მუსიკოსი ჩამოდის საქართველოში.

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად გადაწყვიტა, რომ წარმოდგენილი განცხადება დადებითი რეკომენდაციით გადაგზავნილ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურში, რათა შესაბამისმა კომისიამ უახლოეს სხდომაზე იმსჯელოს ალექსანდრე (ლექსო) თორაძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ წარადგინა დღის წესრიგით განსაზღვრული მეორე საკითხი: მერაბ დონაძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ.

კახაბერ ლაბუჩიძის განცხადებით მერაბ დონაძე იყო საქართველოს დამსახურებული არტისტი, არაერთი საპატიო ჯილდოს და პრემიის მფლობელი, ღირსების ორდენის კავალერი. მომღერალი მერაბ დონაძე თბილისში 1937 წელს დაიბადა. ის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში და უნივერსიტეტში ერთდროულად სწავლობდა. კონსერვატორიაში ვოკალის განხრით, უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე.

1957 წლიდან კონსერვატორიაში სწავლის პერიოდში იყო საოპერო სტუდიის სოლისტი; 1958 წელს მონაწილეობდა მოსკოვში გამართულ საქართველოს ხელოვნების დეკადაში; 1963-1988 წლებში თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტია.

პარალელურად ეწეოდა ძალიან აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას. სწორედ ამ საქმიანობის გამო ზოგადსაგანმანათლებლო და მუსიკალურ სკოლებში ქართული კლასიკური და მსოფლიო მუსიკალური კულტურის პროპაგანდისთვის მერაბ დონაძე 1997 წელს იაკობ გოგებაშვილის პრემიით დააჯილდოვეს. 1992 წლიდან გარდაცვალებამდე იყო საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის გენერალური დირექტორი.

მის მიერ საოპერო სპექტაკლებიდან შესრულებული პარტიები დღემდე ლეგენდად რჩება მუსიკალურ წრეებში. სწორედ ამ ნიჭის დამსახურებით ის გახდა ვოკალისტთა საერთაშორისო ფესტივალების ჯერ ოქროს მედლის, შემდეგ დიდი ოქროს მედლის მფლობელი.

მერაბ დონაძე საესტრადო სიმღერებსაც ასრულებდა. გამოცემულია მისი საესტრადო სიმღერების ფირფიტა. გასტროლებზე გამოდიოდა როგორც ყოფილი სსრკ-ს ქალაქებში,

ასევე საზღვარგარეთაც - ფინეთში, შვედეთში, გერმანიასა და პოლონეთში, რუმინეთსა და ბულგარეთში, მონღოლეთსა და სხვა ქვეყნებში.

დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით მოსაზრება გამოთქვეს:
შენიშვნა და მოსაზრებები არ ყოფილა.

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად გადაწყვიტა, რომ წარმოდგენილი განცხადება დადებითი რეკომენდაციით გადაგზავნილ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურში, რათა შესაბამისმა კომისიამ უახლოეს სხდომაზე იმსჯელოს მერაბ დონაძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ წარადგინა დღის წესრიგით განსაზღვრული მესამე საკითხი: არჩილ ბეთანელის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ.

კახაბერ ლაბუჩიძემ ისაუბრა არჩილ ბეთანელის ბიოგრაფიის შესახებ, კერძოდ, არჩილ ბეთანელი დაიბადა 1925 წლის 27 სექტემბერს, ქალაქ ქუთაისში. ბატონმა არჩილმა დაამთავრა მაშინდელი 25-ე საშუალო სკოლა (ახლანდელი 53-ე საშუალო სკოლა).

1947 წელს არჩილ ბეთანელი მეხუთე კურსის სტუდენტი არჩეულ იქნა სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების საბჭოს პირველ თავმჯდომარედ ხოლო 1948 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მექანიკის ფაკულტეტის რუსული სექტორი, ხოლო 1951 წელს დაამთავრა ასპირანტურა და 1953 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ამავე წელს მას დაევალა მრავალტირაჟიანი გაზეთის „კიროველის“ ამჟამად „აღმაშენებლის“ პირველი რედაქტორობა ხოლო 1964 წელს დანიშნულ იქნა პირველ დირექტორად.

არჩილი ბეთანელი გახლავთ ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი 1969 წლიდან , პროფესორი - 1971 წლიდან იგი გახლდათ პოლიტექნიკური ინსტიტუტის თვითმფრინავმშენებლობის კათედრის გამგე რომლის ბაზაზეც და მისი ხელშეწყობით ჩამოყალიბდა საავიაციო სამეცნიერო ინსტიტუტი რომელიც დღეის მდგომარეობით საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი გახლავთ. 1990 წელს მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, იგი არის საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი და რუსეთი კოსმონავტიკის აკადემიის აკადემიკოსი და პრეზიდიუმის წევრი.

არჩილ ბეთანელი იყო საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს კოლეგიის წევრი, და სამეცნიერო ტექნიკური საბჭოს თავმჯდომარე, სსრ კავშირის ჩარხმშენებლობის სამინისტროს მანქანათმშენებლობის და ელექტროტექნიკის საპროექტო ტექნოლოგიური, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი და ამავე ინსტიტუტის საცდელი ქარხნის დირექტორი.

არჩილ ბეთანელი იყო სსრ კავშირის თავდაცვითი მრეწველობის სამინისტროს თბილისის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დამფუძნებელი და პირველი დირექტორი, სსრ კავშირის კოსმონავტიკის კავშირის ფედერაციის ბიუროს წევრი საქართველოს სსრ კოსმონავტიკის კომიტეტის ორგანიზატორი და პირველი თავმჯდომარე, რუსეთის კოსმონავტიკის ფედერაციის მრჩეველი საბჭოთა კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრი.

არჩილ ბეთანელი დაჯილდოებულია ღირსების **ორდენებით:**

კ.ვ. ციოლკოვსკის, აკადემიკოსების : ს.პ. კოროლიოვის, მ. ვ. კელდიშის, შ.ფ. იანგელის, ა.დ. ნადირაძის და პირველი კოსმონავტის, ი.ა. გაგარინის სახელობის მედლებით.

იყო ავტორი 113 სამეცნიერო შრომის რომლებიც გამოქვეყნებულია: საქართველოში, რუსეთში, გერმანიაში, ჩეხეთში, პოლონეთსა და ინდოეთში.

გამოქვეყნებული ჰქონდა 83 სამეცნიერო პოპულარული სტატია და ერთი ფანტასტიკური მოთხრობა.

ჰქონდა მჭიდრო სამეცნიერო ტექნიკური კავშირები პოლონეთთან და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან.

არჩილ ბეთანელს სისტემატური მეცნიერული თანამშრომლობა აკავშირებდა გერმანიის ერთ-ერთ წამყვან სამეცნიერო დაწესებულებასთან ქალაქ კლაუსტალის ტექნიკური უნივერსიტეტის მანქანათმცოდნეობის ინსტიტუტთან, ამ ინსტიტუტშიც ჰქონდა გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები. აგზავნიდა სტაჟირებაზე ასპირანტებს და სასწავლებლად სტუდენტებს.

ბატონი არჩილი გარდაიცვალა 2018 წლის 29 სექტემბერს და დასვენებულია საბურთალოს სასაფლაოზე.

დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით მოსაზრება გამოთქვეს:

შენიშვნა და მოსაზრებები არ ყოფილა.

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად გადაწყვიტა, რომ წარმოდგენილი განცხადება დადებითი რეკომენდაციით გადაგზავნილ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურში, რათა შესაბამისმა კომისიამ უახლოეს სხდომაზე იმსჯელოს არჩილ ბეთანელის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

განათლების და კულტურის კომისიის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე